საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 2 22 02586570

15/09/2022

მოქალაქე ელენე ნოდიას

ელექტრონული ფოსტის მისამართი:
foi+request-847-1b155676@askgov.ge

ქალბატონო ელენე,

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გადმოგზავნილი თქვენი №2313807 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არსებული აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში, დანართის სახით წარმოგიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს, 2013-2021 წლებსა და 2022 წლის იანვარი-ივლისის ჩათვლით პერიოდში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-286[2] მუხლებით რეგისტრირებულ დანაშაულთან დაკავშირებით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში, მონაცემების დამუშავება ხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით განსაზღვრული დისპოზიციის და არა ქმედების შემადგენლობათა ცალკეული გარემოებების მიხედვით.

შენიშვნა:

- 2019-2020 წლების რეგისტრირებული დანაშაულის და გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკური მონაცემები მუშავდება საპილოტე რეჟიმში, ვინაიდან 2019 წლის ბოლოდან ნაწილობრივი ფუნქციონირება დაიწყო სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული სისტემის (Crimcase-2) ახალმა ვერსიამ, რომლის საგამოძიებო უწყებებში გეგმიური დანერგვა, სათანადო გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობდა ეტაპობრივად. აქედან გამომდინარე, რეგისტრირებული დანაშაულის (ასევე გამოძიების დაწყების) კლასიფიკაციის სტანდარტული სქემის შესაბამისად ერთიანი კონსოლიდირებული სტატისტიკური

ანგარიშგების რეპორტის გენერირების მიზნით, ინფორმაციის დამუშავება ამ მომენტისათვის ხორციელდება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი განსხვავებული ვერსიის (Crimcase-1 და Crimcase-2) სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით. - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 286' - 286² მუხლები ამოქმედდა 2021 წლის 18 მაისიდან.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის
მოადგილე
თათია ცეცხლაძე